



Direkt auf Rost

პირდაპირ ჟანგზე

სპეციალური ანტი-კოროზიული ემალი პირდაპირ ჟანგზე წასასმელად, ფოლადსა და რკინისათვის. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.



პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

0,75ლ; 2,5ლ

სიპრიალის ხარისხი:

პრიალა

პროდუქტის უპირატესობები:

კოროზიისაგან ხანგრძლივი დაცვა
ადვილად დაიტანება
შესანიშნავი ფერის მდგრადობა

ხელსაწყოები / ტემპერატურა:

დაიტანეთ ფუნჯით ან გორგოლაჭით. გამოიყენეთ არანაკლებ 5°C ტემპერატურისას (ჰაერი და ზედაპირი). გამოყენების შემდეგ იარაღები გაასუფთავეთ გამხსნელით.

თვისებები:

ბრწყინვალე ადჰეზიური უნარის მქონე გრუნტი და დამასრულებელი ემალი ერთ პროდუქტში. მაქსიმალური დაცვა კლიმატური ზემოქმედებისგან. ზედაპირის კარგი დაფარვის უნარით და ჭუჭყამრიდი თვისებით. სწრაფად შრება. ოპტიმალური დაცვა გარე სამუშაოებისას, 3 თხელი ფენის დატანისას. შიდა სამუშაოებისას საკმარისა 2 ფენა. სუსტი არომატის მქონე, მუშაობის და შრობისას.

შრობის დრო / გამოყენების პირობები

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 3-4 საათის შემდეგ, 6-8 საათის შემდეგ შეიძლება შემდეგი ფენის დატანა. უფრო დაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში ეს დრო იზრდება.

შესაფერისი ზედაპირები:

ფოლადი და რკინა (არ გამოდგება მოთუთიებულ ფოლადზე). ყველა არსებული ლაქნასმული ზედაპირები, აკრილის ემალით დაფარული ზედაპირების გარდა.

დატანის მეთოდები / ხარჯი:

ფოლადი/რკინის ზედაპირებს სრულფასოვნათ მოაშორეთ ჟანგი. მოაშორეთ ზედაპირს ჭუჭყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). ზედაპირი არ საჭიროებს გაშლიფვას. პროდუქტი კარგად ამოურიეთ. ხარჯი: 100-120 მლ/მ² - ერთი ფენა.

ფერი / შეფერადება:

სპილოს ძვლის ფერი
ყვითელი
ოქროსფერი
წითელი
შინდისფერი
ლურჯი
მწვანე
ნაცრისფერი
მუქი ყავისფერი
შოკოლადის ფერი
შავი
ვერცხლისფერი
თეთრი

დაფარვის სტრუქტურა / გაზაფხა:

საგრუნტი ფენა:
Alpina Direkt auf Rost გაუზაფხაელი.
შუალედური და საბოლოო ფენა:
Alpina Direkt auf Rost გაუზაფხაელი.

შემადგენლობა:

ალკიდის ფისი, ვაით-სპირიტი, პიგმენტი, მინერალური შემავსებლები, დანამატები, ანტიკოროზიული პიგმენტი. ევროპული ნორმების მიხედვით, ამგვარ ნაწარმში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (კატ. A/a) არ უნდა აღემატებოდეს 500 გ/ლ. ეს ნაწარმი შეიცავს < 500 გ/ლ VOC-ს.



Direkt auf Rost

ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

ფოლადი/რკინის ზედაპირებს სრულფასოვნად მოაშორეთ უანგი. მოაშორეთ ქუჩყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). მყარი უანგი შეგიძლიათ არ მოაშოროთ.

ზედაპირები არამზიდი დანაფარებით:

არამზიდი ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაშორეთ ზედაპირს.

ზედაპირი	დანიშნულება	ზედაპირის მომზადება	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენა
რკინა, ფოლადი	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, არა მყარი უანგი მოშორდეს, გაინმინდოს.	Direkt auf Rost	Direkt auf Rost	Direkt auf Rost
ძველი მზიდი, დანაფარები	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, არა მყარი უანგი მოშორდეს, გაინმინდოს.	გამზადდეს და ზედაპირის მიხედვით გრუნტით გამოსწორდეს დეფექტები	Direkt auf Rost	Direkt auf Rost

ხარჯი

დატანა	ფუნჯით	გორგოლაქით	მიფრქვევით
მლ/მ²	90	90-100	100-120

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განთავსებაზე. არ ქამოთ, არ დალიოთ და არ მონიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. შეფრქვევით დამუშავებისას არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ღრუბელი. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".

უტილიზაცია:

საღებავის წარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამზარნი წარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპერატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 5 წლის განმავლობაში.

**ტექნიკური ინფორმაცია № 310
2022 წლის მდგომარეობით**

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/ მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.



შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფირმათა ჯგუფ DAW-ს სანარმო ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, ტელ: +995 322 121 505, ელ-ფოსტა: office@caparol.ge